

## საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დებულება ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრთა წონის კლებასთან დაკავშირებით

1. ჭაბუკთა (უმცროსი ასაკის ჭაბუკთა) და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის სპორტსმენთა ოფიციალურ შეჯიბრზე პირველ ნომრად წარდგენას იმ შემთხვევაში, როდესაც მისი წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ჭაბუკებში (უმცროს ასაკის ჭაბუკებში) 2 კგ-ით, ხოლო ახალგაზრდებში 3 კგ-ით მეტი, ნაკრები გუნდის მწვრთნელებთან ერთად წყვეტს აღმასკომის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.
2. აღნიშნული დებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოხდეს ჩემპიონებისა და პრიზიორების წონის კონტროლი ყოველი შიდა სარეიტინგო და საქართველოს პირველობების დამთავრებისთანავე.
3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან შიდა სარეიტინგო და საქართველოს პირველობებზე ამ კატეგორიის სპორტსმენთა მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო, რა დროსაც შესაძლებელია, მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა, როგორც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ასევე სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირზე.
4. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ დებულების მიღება განპირობებულია სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაცვისა და უფროს ასაკში მათ მიერ უკეთესი შედეგის მიღწევისათვის.